რუსული ეკლესიის მიზნების შესახებ საქართველოში

ფაქტზე, რომ რუსეთის საპატრიარქო და წმინდა სინოდი რუსეთის ფედერაციის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის, ასევე სხვა ძალოვანი თუ სპეციალური სპეციალურ სამსახურების უწყებრივი დანამატია, დღეს, უკვე არავინ დავობს. ამ მოცემულობას თანამედროვე რუსეთში თავისი ისტორიული წარსული აქვს - ასე იყო და ასე გრძელდება.

მე-18 საუკუნეში, 1721 წელს, პეტრე პირველმა მოაწყო სისტემა, რომელმაც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია მმართველი პოლიტიკური კლასის/ხელისუფლების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად აქცია. მან რუსეთის პატრიარქის ინსტიტუტი გააუქმა და ეკლესიის კონტროლის მიზნით, უწმიდესი სინოდის მმართველობითი ორგანო შექმნა, რომელსაც სათავეში საერო პირი – ობერ-პროკურორი ჩაუყენა. სინოდის ნებისმიერი წევრი კი, იმპერატორის ერთგულებაზე იფიცებდა. ეკლესიასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებასაც მხოლოდ ახალი, უზენაესი ხელისუფალი, საერო პირი იღებდა.

ეკლესიის სრული დამორჩილება კი ეკატერინე მეორემ დაასრულა. მისი დავალებით, 1764 წელს ეკლესიას მიწები ჩამოართვეს, საეკლესიო თანამდებობები კლასების მიხედვით დაიყო და სასულიერო პირებს ხელფასი იმპერიის ხაზინიდან

დაენიშნათ. ხელფასზე დამოკიდებული რუსი მღვდელი, ხელისუფლების ნების უსიტყვო შემსრულებელი გახდა.

მე-19 საუკუნეში კი, „რუსულ ჩექმას“ საქართველოში უკვე მორჩილი, სულიერებისგან მაქსიმალურად დაცლილი რუსული ეკლესია, კონკრეტული ამოცანებით შემოჰყვა:

ა) ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაცია და ბ) ქართველების რუსულ სამყაროში ათქვეფა:

- გაუქმდა საქართველოს ავტოკეფალია;
- გაიძარცვა ეკლესია-მონასტრები;
- განადგურდა საეკლესიო სიძველეები;
- „თხის კიკინად“ მოინათლა ქართული გალობა;
- აიკრძალა ქართულ ენაზე წირვა–ლოცვა;
- მთლიანად შეათეთრეს სვეტიცხოველის, ალავერდის, სამთავისის ქართული ფრესკები;
- ეკლესიების ნაწილს რუსულ ყაიდაზე შეუცვალეს გუმბათები;
- ქართული სასულიერო სასწავლებლების უმეტესობა რუსულად გადაკეთდა;

 დაიწყო რუსული სულისკვეთებით განმსჭვალული, ახალი ყაიდის ქართველი სამღვდელოების აღზრდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლებმა დაიწყეს რუსული ენის სწავლება და მთლიანობაში, დაიწყო ქართული საზოგადოების გარუსება. თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართულად ლაპარაკიც კი აიკრძალა. შედეგად, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქართული

საზოგადოების ნაწილს, მშობლიურ ენაზე მეტყველება უჭირდა. ეკლესია ზედმიწევნით ასრულებდა მმართველი კლასის დავალებებს - ის ქართველების გულისა და გონების

ოკუპაციას ახდენდა. საუკუნეების შემდეგ, დღესაც, რუსული ეკლესიისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ადმინისტრაციის თანამშრომლობის სისტემა არ იცვლება. მთავრობის ნებისმიერ დაკვეთას, რუსი სამღვდელობა კვლავ შესაშური მონდომებით ასრულებს. რუსეთის პრეზიდენტის მსგავსად, რუსეთის პატრიარქი, საბჭოთა კავშირის დაშლას ისტორიული რუსეთის დაღუპვას უწოდებს.

იგივე ვითარებაა ერთმორწმუნე საქართველოს შემთხვევაშიც. რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წამოწყებულ ნებისმიერ კამპანიაში, რუსული ეკლესია უცვლელად მონაწილეობს. პატრიარქ კირილის განცხადებით, 2008 წელს, ომი, სწორედ ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო. რუსეთის საპატრიარქო ოფიციალურად ულოცავს საქართველოსგან დამოუკიდებლობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ მთავრობებს; მიღებას უმართავს სეპარატისტთა ლიდერებს: კოკოითს, ბიბილოვს და ანქვაბს. ამდენად,

საქართველოში, რუსული ეკლესია რუსეთის პოლიტიკური ადმინისტრაციის მიზნების მხარდაჭერი ინსტუმენტია.

ქართველი სასულიერო პირების გატაცებისა და მკვლელობების შესახებ

რუსმა ოკუპანტებმა, გუშინ, სოფელ დვანიდან ქართველი სასულიერო პირი, დირბის ეკლესიის წინამძღვარი, მამა იოანე ოხანაშვილი გაიტაცეს. ადგილობრივების თქმით, იოანე ოხანაშვილი ერთადერთი იყო თანასოფლელებს შორის, ვისაც დაჭრილი ჯარისკაცები ცხინვალის კონტროლირებადი ტერიტორიებიდან გადმოჰყავდა. „ერთმორწმუნე“ რუსეთის მიერ ქართველი სასულიერო პირების გატაცებას, მათ დაპატიმრებას და მთელ რიგ შემთხვევებში, მკვლელობებსაც კი, საუკუნოვანი ისტორია აქვს.

1818 წელს რუსეთმა დასავლეთ საქართველოს ეპარქიათა უმრავლესობა გააუქმა. დაიკეტა ასეულობით ეკლესია, გაიძარცვა ტაძრები. ამის გამო, იმერეთში საყოველთაო აღშფოთება მალევე აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყების სულიერი წინამძღოლები ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე იყვნენ. მათი დაპატიმრება გენერალ ველიამინოვმა პოლკოვნიკ პუზირევსკის დაავალა. არსებობს წყაროები, რომლებიც ოკუპანტ-სამხედროებს შორის, პოლკოვნიკ პუზირევსკისა გენერალ და ველიამინოვს შორის ამ თემაზე გამართული მიმოწერა შემოგვინახა:



პუზირევსკი:

„ტყვეები მორჩილად რომ იყვნენ და ადგილობრივმა მოსახლეობამ ისინი ვერ იცნოს, თავზე ორივეს ტომრებს ჩამოვაცმევ. თუ უკიდურესი საჭიროება შეიქმნება, გთავაზობთ, მიტროპოლიტები საერთოდ დავხოცოთ და მათი გვამები მდინარეში გადავყაროთ“

ველიამინოვი:

„.... გვამები მიწას არ მიაბაროთ და არც მდინარეში გადააგდოთ, რადგან დინებამ შეიძლება ისინი ნაპირზე გამორიყოს. საჭიროა, ცხედრები საქართველოში საერთოდ არ დავტოვოთ. გვამები კაიშაურამდე მაინც უნდა ჩავიტანოთ, სადაც უკვე შეიძლება მათი დაფვლა.“

დოსითეოსის და ექვთიმეს დატყვევების ამბებს დავით ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს: ***„შეიპყრნა ესე ტიტველნი ღამე, ქუთათელს, გაენათელს და არქიმანდრიტ გრიგოლს. თავს ჩამოაცვეს წელამდინ ტომრები და შეუკრეს ზევიდამ ხელები და ჰგვემეს ფრიად ქუთათელს და თავისის სახლიდამ თრევით ძირს ჩამოიტანეს, დასტანჯეს ესე ბერები უწყალოდ თვინიერ ყოვლისა მიზეზსა.“***

იგივე ისტორიას აღწერს რუსი ისტორიკოსი ნიკოლოზ დურნოვოც:

„მიტროპოლიტი დოსითეოსი ღამით შეიპყრეს, ძლიერ ცემეს, შემდეგ ხიშტით დაჩხვლიტეს, თავზე პუზირევსკის მომზადებული ტომარა ჩამოაცვეს და სისხლისგან დაწრეტილი, ცხენზე ძალით დააკრეს.“

INFOARMY.GE

დატყვევებული მიტროპოლიტები რუსეთის გზას გაუყენეს, მაგრამ მიღებული ჭრილობებისგან მოხუცი დოსითეოსი სურამთან გარდაიცვალა. ცხედარი რუსმა ჯარისკაცებმა ანანურამდე ატარეს. გარდაცვალებიდან 4 დღის შემდეგ, მიტროპოლიტი ანანურის ეკლესიის ეზოში მალულად დამარხეს. გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე სამუდამოდ გადაასახლეს რუსეთში.

„ერთმორწმუნეობა არასდროს ყოფილა ჩვენს შორის ხიდი უკეთესი მომავლისკენ. ერთმორწმუნეობა ყოველთვის იყო გზა საქართველოს ხალხის გულისა და გონების ოკუპაციისთვის.“

რუსი მღვდელი, რომელიც საქართველოში სეპარატიზმს აღვივებდა დღეს წმინდანია

რუსული ეკლესია ისტორიულად იმპერიული პოლიტიკის ერთ–ერთი მძლავრი იარაღი იყო და ერთმორწმუნე ქართველების წინააღმდეგ მთელი სისასტიკით მოქმედებდა. ეკლესიის საშუალებით რუსეთის იმპერია საქართველოს დაქუცმაცებას, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთთან წაკიდებას და შუღლის გაღვივებას ცდილობდა. XIX ს-ის ბოლოდან ქართული საზოგადოების გახლეჩვის მიზანმიმართული პოლიტიკა დაიწყო.



1. სამეგრელოსა და სვანეთის სასწავლებლებსა და ღვთისმსახურებაში საერთოდ აიკრძალა ქართული ენა.

2. რუსი დეკანოზი, შემდგომში პოლიტიკური მოღვაწე ივანე ვოსტორგოვი, მიიჩნევდა, რომ სამეგრელო და სვანეთი საქართველოს საერთოდ არ ეკუთვნოდნენ.

3. ვოსტორგოვი სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში, ქართულის ნაცვლად ღვთისმსახურების ენად, ადგილობრივი კუთხეების კილოს გამოყენება სურდა.

4. 1892 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კირილე იანოვსკიმ სპეციალური მოხსენება გაუგზავნა იმპერიის სახალხო განათლების მინისტრს და საქართველოს სამღვდელოებისათვის საეკლესიო-სამრევლო და წერაკითხვის სკოლების მართვის უფლების ჩამორთმება მოთხოვა. მისი თქმით ქართველ მღვდლთა უმრავლესობამ რუსული არ იცოდა და ამით ისინი ხელს უშლიდნენ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან სრულ შერწყმას;

5. ვოსტორგოვის მსგავსად, იანოვსკი, მეგრელებს დანარჩენი ქართველებისგან გამოარჩევდა და საეკლესიო წიგნებისა და ლოცვების მეგრულად თარგმნას ითხოვდა;

6. ქართული საზოგადოების გათიშვის მიზნით, იანოვსკის ეკუთვნის ბიბლიის მეგრულ და სვანურ ენებზე თარგმანის იდეა.

7. იანოვსკის თანაშემწე ლევიცკი კი, რუსული ასოებით ცალკე მეგრული ანბანის შექმნასა და მის საფუძველზე მეგრულად ლიტერატურის თარგმნას ცდილობდა. ლევიცკის აზრით, მეგრული ბიბლია მთლიანად განდევნიდა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართულ ენას;

8. რუსმა ეგზარქოსებმა ოსურ ეკლესიებში ღვთისმსახურება ოსურ ენაზე დაწესეს, მაგრამ ენა იმდენად დაამახინჯეს, რომ ოსები აღშფოთდნენ და ეკლესიაში სიარული შეწყვიტეს. მაგალითად, სახარების სიტყვა „განკაცება" ოსურად მკრეხელურად ასე იქნა თარგმნილი: „ხორციანი ნამცხვარი."

9. სოხუმის ეპარქიაში რუსი ეპისკოპოსის არსენის ბრძანებით, სამურზაყანოში და მთლიანად აფხაზეთშიც აიკრძალა ქართული და წირვა-ლოცვა რუსულად მიმდინარეობდა. სოხუმში ჟანდარმერიის საშუალებით დევნიდნენ ყველას, ვინც ეკლესიაში წირვა-ლოცვის შესრულებას მშობლიურ ენაზე ითხოვდა.

პ.ს. 2000 წელს, რუსეთის ეკლესიამ ივან ივანეს ძე ვოსტორგოვი წმინდანად შერაცხა.

წყარო: მიტროპოლიტი ანანიას (ჯაფარიძე) წიგნი - "დედაღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა". ტომი - სამეგრელოს საეკლესიო კრებები სამეგრელოს I (1889 წ.) და II (1905 წ. 12.06) საეკლესიო შეკრება

საქართველოს პირველი რუსი ეგზარქოსი თხრიდა საფლავებს, მათ შორის წმინდა ნინოს საფლავს ბოდბეში

„თუ რომელიმე ქართველი ავტორი გადაწყვეტს რუსი ეგზარქოსების უზურპატორების ქმედობებზე ნამდვილი ისტორიის დაწერას, გაწითლება მოგვიხდებოდა, იმდენად არცხვენენ ისინი რუს სამღვდელოებას. რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათზე მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძარცვათ დაუძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებიათ, დაეთრგუნათ მისი მოსახლეობის ენა და შემდეგ, ნაძარცვი ქონებითა და ფულით, რუსეთში დაბრუნებულიყვნენ... რუსი ეგზარქოსები ამ ქვეყანას ისე უყურებენ, როგორც მათთვის განკუთვნილ გასაძარცვავ მხარეს...“ –



ეს სიტყვები რუს ისტორიკოსსა და ფილოლოგს ნიკოლაი დურნოვოს ეკუთვნის.

ეგზარქოსობის პერიოდში, რომელიც საქართველოში ერთი საუკუნე გაგრძელდა, საქართველო უმოწყალოდ გაიძარცვა. რუსმა სამღვდელოებამ ჩვენი ქვეყნიდან გაზიდა თითქმის ყველა ძვირფასეულობა რაც კი ქართულ ეკლესიას ებადა.

რუსეთის ხაზინამ ქართული ეკლესიის 150 მილიონი მანეთის ღირებულების ქონება მიითვისა. დოქტორი ერისთავ-შერვაშიძის წიგნი „სამახსოვრო წერილი ქართველი ხალხის გაჭირვებათა შესახებ“:

„რასაც ქართველი ხალხი ოდითგანვე სასოებით ინახავდა და იცავდა, ამჟამად დღისით და მზისით იძარცვება, მრავალსაუკუნოვანი ჩვენი ტაძრები მძარცველთა საკუთრება გახდა, მონასტრები გაპარტახების წყვდიადში იძირებიან ანდა უმეცარი ბერების მიერ იბილწებიან. ვინ იყვნენ მთავარი გამტაცებლები? რუსი ეგზარქოსები. ეგზარქოს ევსევის მიერ საქართველოში გაძარცული იქნა თითქმის ყველა მონასტერი. მათგან გაძარცული იქნა ისეთი სალოცავები, თურქ-ოსმალთა შემოსევებს რომ გადაურჩა“.

ფეოფილაქტე რუსანოვი, საქართველოს პირველი რუსი ეგზარქოსი (1817-1821 წწ.) თხრიდა საფლავებს, მათ შორის წმინდა ნინოს საფლავს ბოდბეში. მანამ არ მოისვენა, სანამ ღვთის განგებამ ბოლო არ მოუღო: იგი წმინდა ნინოს საფლავთან დამბლით მოკვდა.

პალადი რაევი (საქართველოს ეგზარქოსი 1887-1892 წწ.)

სამეგრელოსა და გურიის მონასტრებიდან გაიტანეს უძველესი ხატების ძვირფასი მოკაზმულობა. მარტვილის, ხობის, ჯუმათის და შემოქმედის მონასტრებიდან წაიღეს მომინანქრებული ხატები. გელათის მონასტრის ხატებიდან გააქრეს უძვირფასესი ტიხრული მინანქარი.

პავლე ლებედევი (საქართველოს ეგზარქოსი 1882-1887 წწ.)

მეტეხის ეკლესიიდან მოიპარეს ოქროთი მოჭედილი მეტეხის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც 50 ათასი მანეთი ღირდა და ძვირადღირებული ოქროს ჭედურობა ამშვენებდა. ეს ხატი მოგვიანებით, მეტეხის ეკლესიის სხვენზე იპოვეს, მაგრამ მას ოქროს ჭედურობა უკვე მოხსნილი ჰქონდა.

ევსევი ილინსკი (საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წწ.)

გაიტაცეს ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც დავით აღმაშენებლის დროიდან გელათში იყო დასვენებული. ხატი შემკული იყო პატიოსანი თვლებით, მინანქრებით და ორნამენტებით. ეგზარქოსის მითითებით, ყველა ძვირფასი თვალი მოხსნეს. მათ შორის ოთხი დიდი და შვიდი მცირე ლალი, რომლებიც ოდესღაც თამარ მეფის გვირგვინს ამშვენებდნენ. იმერეთის კათალიკოსის მანტია, ოქრომკედით ნაქსოვი, მსხვილი მარგალიტებითა და ლალებით შემკული, ცეცხლში ჩააგდეს და მანტიიდან რვა გირვანქა ოქრო გამოადნეს. დააძვრეს მსხვილი ლალები და მარგალიტები. კათალიკოსის მანტიას მიტრაც მიაყოლეს, რომელსაც ვახტანგ გორგასალის ნაქონი ბრილიანტის ჯვარი ამშვენებდა. სიონის ტაძრიდან, წაიღეს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ძვირფას მორთულობასთან ერთად. გააქრეს მრავალი ძვირფასი ნივთი. სამღვდელმთავრო ომოფორებიდან და ბისონებიდან მოხსნეს ათობით თვალ-მარგალიტი.

INFOARMY.GE

ამ ყველაფერზე, რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ნიკოლაი დურნოვო წერდა:

„ევსევი ილინსკი (საქართველოს ეგზარქოსი), უკიდურესად გარყვნილი, ცხოვრებაში თავშეუკავებელი, ავხორცი; ფული რომ დასჭირდა, თავისი დამქაშების მეშვეობით კათალიკოსების

ყოფილი საპატრიარქოს საეკლესიო სალაროს მთელი განძეულობა გაჰყიდა, შესამოსელებს, მიტრებს და ხატებს ძვირფასეულობა მოხსნა და ხელი შეუწყო გელათის მდიდარი საეკლესიო სალაროს გაფლანგვას. გელათის სალაროდან გაქრა ოქროს ხატის მოჭედილობა, მთელი მსოფლიოს მეცნიერთათვის ცნობილი თავისი ძვირფასი ტიხრული მინანქრით...“

წყარო: ნიკოლაი დურნოვო - „ქართული ეკლესიის ბედი“. გაზეთ "რუსკი სტიაგის" გამომცემლობა. 1907 წელი

საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონი #ძალაჩვენშია

WWW.INFOARMY.GE

https://www.facebook.com/InfoArmy.ge/